მიგრაციის დეპარტამენტი, როგორც საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სტრუქტურული ერთეული, 2014 წელს შეიქმნა ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით და იმიგრაციის ნაკადების მართვის მიზნით. მისი საქმიანობის ძირითადი მიზნებია საქართველოში კანონიერი საფუძვლის გარეშე მცხოვრებ უცხოელთა გამოვლენა, იდენტიფიცირება, მათი უსაფრთხო განთავსება და ღირსეული გაძევების პროცედურის გამოყენება, თუკი ქვეყანაში მათი ყოფნის კანონიერი საფუძველი სხვაგვარად არ დგინდება. დეპარტამენტი მდებარეობს იმავე დაწესებულებაში, სადაც დროებითი განთავსების ცენტრი (TAC), რომელსაც 92-მდე ადამიანის მიღება შეუძლია. ცენტრში გამოყოფილია ტერიტორია მამაკაცებისა და ქალებისათვის და ადაპტირებული ოთახები უნარშეზღუდულ პირთათვის; ასევე გათვალისწინებულია ოჯახების განთავსების შესაძლებლობა, არის სასადილო ოთახი, სამლოცველო, ბიბლიოთეკა, კომპიუტერის ოთახი, სპორტული დარბაზი, სათამაშო მოედანი ბავშვებისათვის და ცალკე მოედანი მიგრანტთა გარე საქმიანობებისთვის. დაკავებულები უზრუნველყოფილნი არიან სამედიცინო დახმარებითა და ფსიქოლოგიური მხარდაჭერით. (დამატებითი ინფორმაცია იხ. მითითებულ ბმულზე <http://police.ge/en/ministry/structure-and-offices/migratsia>)

მიგრაციის დეპარტამენტსა და ICMPD-ს შორის მიღწეული შეთანხმების მიხედვით, პროექტი ENIGMMA ხელს შეუწყობს მიგრაციის დეპარტამენტისა და დროებითი განთავსების ცენტრის თანამშრომელთა შესაძლებლობების გაძლიერებას. დეპარტამენტთან ჩამოყალიბებული და შეთანხმებული ტრენინგისა

და ადგილზე დახმარების ღონისძიებათა კონცეფცია (რომელიც უკვე ხორციელდება) მოიაზრებს არალეგალურ მიგრაციასთან დაკავშირებულ ყველა პროცედურაში მიგრანტთა უფლებების დაცვას სხვადასხვა მეთოდოლოგიის გამოყენებით, როგორცაა: სამუშაო შეხვედრები; ადგილზე დახმარება; პრაქტიკის გაზიარება საქართველოს სახელმწიფო სტრუქტურათა ექსპერტებს, არასამთავრობო ორგანიზაციებსა და ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებს შორის; გაძევების გადაწყვეტილების გადახედვა და სასწავლო ვიზიტი ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებში.

## საკონტაქტო ინფორმაცია

ქ-ნი ვიოლეტა ვაგნერი, ICMPD-ის პროექტის მენეჯერი,  
[violeta.wagner@icmpd.org](mailto:violeta.wagner@icmpd.org)

ბ-ნი ზურაბ ყორღანაშვილი, ICMPD-ის პროექტის მენეჯერი,  
[zurab.korganashvili@icmpd.org](mailto:zurab.korganashvili@icmpd.org)

[www.enigmma.ge](http://www.enigmma.ge)  
[www.icmpd.org](http://www.icmpd.org)

მარჯანიშვილის ქ. # 6, პირველი სართული, 0102, თბილისი, საქართველო.

გთხოვთ, თქვენი მოსაზრებები და კომენტარები გაუგზავნოთ ქ-ნ ნათია მეჩითიშვილს, ელექტრონულ მისამართზე  
[natia.mechitishvili@icmpd.org](mailto:natia.mechitishvili@icmpd.org) ან [enigmma@icmpd.org](mailto:enigmma@icmpd.org).



დაფინანსებულია ევროკავშირის მიერ





2016 წლის 26 ივნისიდან 2 ივლისამდე ICMPD „მიგრაციის კვლევის საერთაშორისო საზაფხულო სკოლას“ უმასპინძლებს აზერბაიჯანში. სკოლა ორგანიზებულია პროექტ ENIGMMA-ს თანამშრომლობით საქართველოს მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისიასთან (SCMI) და ICMPD-სა და მიგრაციის მართვაში ჩართული აზერბაიჯანის სახელმწიფო სტრუქტურების ერთობლივი ძალისხმევით განხორციელებულ პროექტთან, MOBILAZE-სთან. მას წარუძღვებიან ევროკავშირის, საქართველოსა და აზერბაიჯანის წამყვანი მკვლევარები და ლექტორები მიგრაციის საკითხებში.

საერთო ჯამში, საზაფხულო სკოლაში მონაწილეობის მიღება შეუძლია ჟურნალისტიკის, საერთაშორისო სამართლის/მიგრაციის სამართლის, ეკონომიკის, დემოგრაფიისა და სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტების 50-მდე სტუდენტს საქართველოდან და აზერბაიჯანიდან, ასევე მათი დიასპორის წევრებს. სწავლებასთან ერთად ჩატარდება კვლევითი სამუშაო, პროექტები და დისკუსიები. საზაფხულო სკოლა ინგლისურ ენაზე წარიმართება.

### 2016 წლის საინფორმაციო კამპანია

პროექტი ENIGMMA გეგმავს საინფორმაციო კამპანიას, რომელიც უნდა მოიცავდეს მიგრაციის ყველა ასპექტს, ასევე, ევროკავშირის-საქართველოს ურთიერთობებს, კონკრეტულად კი თანამშრომლობას მიგრაციის მართვის სფეროში. საინფორმაციო კამპანიის დროს გამოიყენება სხვადასხვა მექანიზმი, როგორცაა: საინფორმაციო კუთხეები, ფოტოკონკურსები, მუსიკისა და ცეკვის წარმოდგენები, საჯარო ლექციები და ტრენინგები მიგრაციის საკითხებზე, ფოტოგამოფენები, ქვიზები მიგრაციის შესახებ და თამაშები.

2016 წლის საინფორმაციო კამპანია ეძღვნება საქართველო-ევროკავშირის ურთიერთობებს და მიზნად ისახავს საზოგადოებრივი

ცნობიერების ამაღლებას ლეგალური მიგრაციის შესახებ, ვიზალიზერალიზაციის სამოქმედო გეგმის (VLAP) შესაბამისად და მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისიის სამდივნოსთან თანამშრომლობით (SCMI). ENIGMMA-ს წლებანდელი საინფორმაციო კამპანიის ძირითადი მესიჯია „**ლეგალური მიგრაცია - საუკეთესო არჩევანი**“.

2014 და 2015 წლებში ENIGMMA-ს საინფორმაციო კამპანიის შედეგების გათვალისწინებით, მნიშვნელოვანია, ძირითადი საინფორმაციო ღონისძიებები რეგიონებში ჩატარდეს, და არა თბილისში. ამიტომ წელს ENIGMMA-ს საინფორმაციო კამპანია შეეხება ადგილობრივი მთავრობის, სამოქალაქო საზოგადოებისა და ზოგადად ხალხის ჩართულობას საქართველოს აჭარის რეგიონში, თუმცა, ზოგიერთი ღონისძიება ქვეყნის მთელ მოსახლეობასაც მოიცავს.

კამპანიის აქტივობების, ფოტოკონკურსის პირობებისა და პრიზების შესახებ დამატებითი ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებგვერდზე [www.enigmma.ge](http://www.enigmma.ge)

### დიასპორა

დაიწყო საქართველოს მაღალპროფილური დიასპორის ჩართულობის პროგრამის დაგეგმვა და განხორციელება. მარტში, პროექტ ENIGMMA-ს ძალისხმევით, სასწავლო ვიზიტი შედგა ლიტვაში დიასპორის ჩართულობის შესახებ; მომდევნო ვიზიტი, 2016 წლის აპრილში, ირლანდიაში იგეგმება. სასწავლო ვიზიტების შედეგად, დიასპორის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატი და მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისიის წევრი სახელმწიფო ინსტიტუტები ჩამოაყალიბებენ ქართული დიასპორის დაჯილდოების ცერემონიალის დეტალურ სამუშაო გეგმას. 2016 წლის მაისში, გლობალური დიასპორის დღეების ფარგლებში გაიმართება „ახალგაზრდა ამზასადორიალი“ დიასპორის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატის მიერ, რომელსაც მხარს უჭერს პროექტი ENIGMMA. ღონისძიება უმასპინძლებს საქართველოს ახალგაზრდა ელჩებს დაახლოებით 8 ქვეყნიდან.


### პერსონალურ მონაცემთა დაცვა

პროექტ ENIGMMA-ს გუნდი, პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატთან ერთად, მუშაობს ამგვარ მონაცემთა დაცვის შესახებ შემდგომ საბაზისო კვლევაზე, რეკომენდაციების განხორციელების მიმართულებით.


ICMPD/ENIGMMA-ს PDPI-ს სამდივნოსა და MRA-სთან კონსულტაციის შედეგად, ჩამოყალიბდა საბაზისო კვლევის შემდგომი ღონისძიება, რათა უზრუნველყოფილი იქნას სამინისტროს რეგულაციების შესაბამისობა პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ საქართველოს კანონსა და ევროკავშირის მონაცემთა დაცვის დირექტივის მე-8 მუხლთან. შემდგომი ღონისძიება მოიცავს საერთაშორისო ექსპერტიზის მიწოდებას MRA-სთვის და მისი შესაძლებლობების გაზრდას. ამ კუთხით, პროექტი ENIGMMA გეგმავს ავსტრიელი ექსპერტის აყვანას, რომელიც უკვე იცნობს კვლევის რეკომენდაციებს, საქართველოს კონტექსტს და პერსონალურ მონაცემთა დაცვის ეროვნულ ექსპერტებს. დაგეგმილია მეორე ექსპერტის აყვანაც, რომელსაც კონკრეტული გამოცდილება ექნება მონაცემთა დაცვის უსაფრთხოებისა და თავშესაფრის პროცედურების შესახებ.

### ადამიანის უფლებები

2015 წლის სექტემბერში ENIGMMA-ს მიერ ლუდვიგ ბოლცმანის ადამიანის უფლებათა ინსტიტუტთან (BIM) ერთად ჩატარებული საჭიროების შეფასების მისიის შედეგად, პროექტი გააგრძელებს საქართველოში შსს-ს მიგრაციის დეპარტამენტის მხარდაჭერას და ჩამოაყალიბებს ტრენინგთა გეგმას ადამიანის უფლებათა კანონიდან გამომდინარე დაკავებისა და გაძევების კანონიერების შესახებ, იდენტიფიცირებული პოტენციური ჩავარდნების მიხედვით. ტრენინგები ჩატარდება ლუდვიგ ბოლცმანის ადამიანის უფლებათა ინსტიტუტის ექსპერტებთან მჭიდრო თანამშრომლობით.



**Introduce Georgia to the EU**



We invite all interested persons to send us your best photos that introduce Georgia to the EU. The three winners of the photo contest will receive an EU-made Tablet PC! The photographers of the best 12 photos will get great promotional prizes!

Please, submit a high quality photo to [enigmma-photo@icmpd.org](mailto:enigmma-photo@icmpd.org) with the title of the photo by **15 April 2016!**

For more information on the photo contest, please visit our website [www.enigmma.ge](http://www.enigmma.ge)



დაფინანსებულია ევროკავშირის მიერ





სამინისტროდან მოწვეულმა ექსპერტმა დეტალური პრეზენტაცია წარმოადგინა შენგენის სავიზო მოთხოვნების, ევროკავშირის სავიზო პოლიტიკის ერთიანი საკანონმდებლო ჩარჩოს, მისი წევრი ქვეყნების პრაქტიკის, სავიზო განაცხადის პროცედურებისა და შენგენის ვიზის კალკულატორის შესახებ. ამასთანავე, მონაწილეებმა განიხილეს უვიზო მიმოსვლის საკითხი.

სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს, იუსტიციის სახლის, სათემო ცენტრების, NATO-სა და ევროკავშირის საინფორმაციო ცენტრის წარმომადგენლებმა და მიგრაციის საკითხებზე მომუშავე სხვა დაინტერესებულმა პირებმა მონაწილეობა მიიღეს ტრენინგში, რომელიც საინფორმაციო კამპანიის პროგრამის ფარგლებში გაიმართა და მიზნად ისახავდა სწორი და ყოვლისმომცველი ინფორმაციის მიწოდებას სახელმწიფო სტრუქტურებისათვის შენგენის სავიზო რეგულაციების შესახებ. ტრენინგი დადებითად შეაფასა ყველა მონაწილემ.

### ტრენინგი პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ შინაგან საქმეთა სამინისტროსათვის

მიგრაციის სფეროში პერსონალურ მონაცემთა დაცვის გაუმჯობესება პროექტ ENIGMMA-ს ერთი-ერთი ძირითადი კომპონენტია. ამ მხრივ, პროექტმა შინაგან საქმეთა სამინისტროს თანხმობა განუცხადა დახმარებაზე შესაბამისი დეპარტამენტის შესაძლებლობათა გაძლიერებაში მონაცემთა დაცვის რეგულაციების კუთხით. ტრენინგების ციკლი შეთანხმდა პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატსა და შინაგან საქმეთა სამინისტროსთან, რათა განეხილათ პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ საქართველოს კანონის კონკრეტული დებულებები და მათი პრაქტიკული განხორციელება.

ეს ციკლი საერთო ჯამში, 2015 წლის ივლისიდან 2016 წლის თებერვლამდე, 5 ტრენინგს მოიცავდა. თბილისსა და ქუთაისში ჩატარებული ოთხი ტრენინგის შედეგად, სადაც მონაწილეობა მიიღეს შსს-ს ტერიტორიული ერთეულების წარმომადგენლებმა მთელი საქართველოდან, დასახელდნენ საკონტაქტო პირები, რომლებიც პასუხისმგებელნი იქნებიან მონაცემთა დაცვის საკითხებზე თავიანთ დეპარტამენტებში. 2016 წლის 18-17 თებერვალს ბოლო ტრენინგი სწორედ ამ საკონტაქტო პირებისათვის ჩატარდა. მას უძღვებოდნენ პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატის წარმომადგენლები და განიხილეს შემდეგი საკითხები: პერსონალურ მონაცემთა დაცვის მნიშვნელობა; საკანონმდებლო და კონკრეტული გამონაკლისების დაშვების ფარგლები; მონაცემთა დამუშავების პრინციპები და საფუძვლები; სპეციალური კატეგორიის მონაცემთა დამუშავება; მონაცემთა სუბიექტების უფლებები; მონაცემების დამუშავება გამოძიების მსვლელობისას და სხვა. ტრენინგი ინტერაქტიული იყო და განიხილეს რეალურ მაგალითებზე დაფუძნებული კაზუსები, როგორც პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატის, ასევე მონაწილეთა გამოცდილებაზე დაყრდნობით.

### სასწავლო ვიზიტი ნიდერლანდებში

2016 წლის 2-4 თებერვალს პროექტმა ENIGMMA-მ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიგრაციის დეპარტამენტის თანამშრომლებისთვის სასწავლო ვიზიტი გამართა ნიდერლანდებში. ვიზიტის მიზანი იყო ამ ქვეყნის დაბრუნების პოლიტიკისა და პრაქტიკის გაცნობა მიგრანტთა უფლებების დაცვაზე ყურადღების გამახვილებით (გამეგობამდე დაკავების ჩათვლით). სასწავლო ვიზიტი ნიდერლანდების უსაფრთხოებისა და იუსტიციის სამინისტროს რეპატრიაციისა და გამგზავრების სერვისის (R&DS) მხარდაჭერით განხორციელდა.

შეხვედრებისას მონაწილეებმა აღნიშნული პროცედურა განიხილეს დაბრუნების შესახებ ევროკავშირის დირექტივის საფუძველზე, ისეთ საკითხებზე ყურადღების გამახვილებით, როგორიცაა: ნებაყოფლობითი დაბრუნება; მოწყვლადი ჯგუფების სათანადოდ დაფარვა; ეფექტიანი გადაწყვეტილებები; სამართლებრივი დახმარება; დაკავება, როგორც უკიდურესი ზომა;

იძულებითი დაბრუნების მონიტორინგის სისტემა; მესამე ქვეყნის სტრუქტურებთან თანამშრომლობა და კომუნიკაცია; სამგზავრო დოკუმენტაციის მიღება; იდენტიფიცირება თავშესაფრის პროცედურების დროს (ენის ტესტი, ასაკისა და მოქალაქეობის განსაზღვრა) და სხვა. R&DS-ის წარმომადგენლებმა ქართველ კოლეგებს გაუზიარეს ნიდერლანდების პოლიტიკის საუკეთესო პრაქტიკა და გამოცდილება ნებაყოფლობითი და იძულებითი დაბრუნების შესახებ.

სასწავლო ვიზიტის ფარგლებში, მონაწილეებმა მოინახულეს ქვეყნის სხვა ტიპის განთავსების სტრუქტურებიც, კერძოდ, ზისტის უცხოელთა დაკავების დაწესებულება და ზრდასრულთა ადმინისტრაციული დაკავების ცენტრი. შეხვედრისას მათ მიიღეს ინფორმაცია უცხოელთა დაბრუნების/გამეგობების პროცესსა და დაკავების/განთავსების ცენტრებში მიგრანტთა უფლებების დაცვაზე.

### დაგეგმილი აქტივობები

#### აკადემიური წრე

აპრილში დაგეგმილია ENIGMMA-ს მიგრაციის სწავლების საგზაო კვირეული თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. სამდღიანი ღონისძიებისას ევროკავშირის ადამიანის უფლებათა ცნობილი ექსპერტები ლექციებსა და სემინარებზე განიხილავენ ურთიერთკავშირის ადამიანის უფლებათა სამართალსა და მიგრაციას შორის, კონკრეტულად კი იძულებით მიგრაციასა და გადაადგილებასთან მიმართებით: ცნებები, გამომწვევი მიზეზები, პატერნები და შედეგები, ლტოლვილთა საერთაშორისო სამართალი და საერთაშორისო დაცვის ჩარჩო საქართველოში.

#### საზაფხულო სკოლა

The EU-funded ENIGMMA and MOBILAZE projects invite YOU to

**International Summer School**  
on Migration Research

**in Azerbaijan**  
26 June – 2 July 2016

Azerbaijan Journalism  
Diaspora Rights Georgia  
Demography Migrants Statistics  
Law Statelessness  
Citizenship Media Economy EU Security Human

**Deadline for Applications: 4 April 2016**

For more information visit our website: [www.enigma.ge](http://www.enigma.ge)  
Please send your applications to [summer-school@icmpd.org](mailto:summer-school@icmpd.org)



დაფინანსებულია ევროკავშირის მიერ





ასრულებს. საერთაშორისო პრაქტიკა აჩვენებს, რომ დაკავებულ უცხოელთა უფლებების დაცვა ძირითადად ხორციელდება მონიტორინგის გარე მექანიზმით. სამმართველოს ფუნქციაა დაკავებულ უცხოელთა არასათანადო მოპყრობის აღკვეთა, მათი უფლებების დაცვაზე მონიტორინგი და ამ უფლებების რეალიზება. შესაბამისად, მისი თანამშრომლები დროდადრო, ან განთავსებულ პირთა მოთხოვნის საფუძველზე, უფლებამოსილნი არიან, ჩაატარონ გასაუბრება, მიიღონ მათი განაცხადები და საჩივრები და შეადგინონ შესაბამისი პროტოკოლები პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის პრინციპის დაურღვევლად. სამმართველო აკონტროლებს უცხოელთა სამართლებრივი მოთხოვნების დროულ აღსრულებას. მის თანამშრომლებს ხელი მიუწვდებათ უცხოელთა დაკავების, TAC-ში მოთავსებისა და სხვა პროცედურების შესახებ შედგენილ ყველა დოკუმენტზე. მონიტორინგის შედეგების მიხედვით, სამმართველო სპეციალურ რეკომენდაციებს წარუდგენს მიგრაციის დეპარტამენტის დირექტორს. იგი ასევე აქტიურად თანამშრომლობს არასამთავრობო და ადამიანის უფლებათა დამცველ საერთაშორისო ორგანიზაციებთან.

TAC-ში მოთავსებულ პირთა უფლებების დაცვა ერთ-ერთი პრიორიტეტული საკითხია. ICMPD უცხოელთა უფლებების დაცვისა და მონიტორინგის სამმართველოს შესაძლებლობების გაძლიერებაში ეხმარება. ამ მიზნით, მან ექსპერტები მოიწვია ადამიანის უფლებათა დაცვის მონიტორინგის ოპერაციული სისტემის ჩამოსაყალიბებლად. ექსპერტებმა ტრენინგები ჩაატარეს შემდეგ საკითხებზე: არალეგალ მიგრანტთა უფლებების მონიტორინგის ძირითადი პრინციპები; და ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სტანდარტები და მოვალეობები დაკავების, ცენტრში განთავსებისა და გაძევების/დაბრუნების პროცესში. ზემოაღნიშნული ორგანიზაციის დახმარებით, მუშავდება მიგრაციის დეპარტამენტის უცხოელთა უფლებებისა და მონიტორინგის სამმართველოს SOP-ები.

### ENIGMMA-ს მიმდინარე და დაგეგმილი აქტივობები

ENIGMMA-ს სასწავლო ვიზიტი ვილნიუსში დიასპორის ჩართულობასთან დაკავშირებით



2016 წლის მარტში გაიმართა ENIGMMA-ს სასწავლო ვიზიტი ვილნიუსში (ლიტვაში) დიასპორის ჩართულობის შესახებ. ქართველ დელეგატებს - საქართველოს მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისიის სამდივნოს, ასევე, საგარეო საქმეთა, სპორტისა და ახალგაზრდობის საკითხთა და განათლებისა და მეცნიერების სამინისტროების წარმომადგენლებს - შესაძლებლობა ჰქონდათ, ლიტვის გლობალური პროგრამის ფარგლებში შეხვედროდნენ ამ ქვეყნის სახელმწიფო მოხელეებს, არასამთავრობო ორგანიზაციებსა და დიასპორის ჩართულობის პროექტებზე მომუშავე კვლევით ორგანიზაციებს.

სასწავლო ვიზიტისას მონაწილეებმა განიხილეს ისეთი საკითხები, როგორიცაა: დიასპორის ჩართულობა; მისი ახალგაზრდა

კურსდამთავრებულების დასაქმებისა და მენტორობის შესაძლებლობები; ინვესტიციები; და მტკიცებულებაზე დაფუძნებული დიასპორული პოლიტიკა. სასწავლო ვიზიტი ყველა მონაწილემ დადებითად შეაფასა. პროექტ ENIGMMA-ს სურს, მადლობა გადაუხადოს ლიტვის ყველა დაწესებულებას ნაყოფიერი თანამშრომლობისათვის.

### პროექტის სამეთვალყურეო საბჭოს შეხვედრა



2016 წლის 26 თებერვალს იუსტიციის სახლში, თბილისში, პროექტ ENIGMMA-ს სამეთვალყურეო საბჭოს რიგით მეექვსე შეხვედრა გაიმართა ICMPD-სა და მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისიის სამდივნოს ერთობლივი ორგანიზებით. ღონისძიებას დაესწრნენ საქართველოში ევროკავშირის დელეგაციის, ICMPD-ს, IOM-ის, მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისიის, სახელმწიფო დაწესებულებებისა და მიგრაციის ღონისძიებებში ჩართული ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები, ასევე, ექსპერტები და ევროკავშირის წევრ სახელმწიფოთა საელჩოების თანამშრომლები.

შეხვედრისას წარმოადგინეს და განიხილეს 2015 წლის ნოემბრიდან 2016 წლის თებერვლამდე ICMPD-სა და IOM-ის მიერ განხორციელებულ ღონისძიებათა ანგარიშები. საქართველოს სახელმწიფო სტრუქტურების წარმომადგენლებმა იმსჯელეს პროექტ ENIGMMA-ს ფარგლებში ჩატარებულ და დაგეგმილ ღონისძიებებზე შემდეგი მიმართულებებით: პერსონალურ მონაცემთა დაცვა, დიასპორის პოლიტიკა, ადამიანის უფლებები, სავიზო პოლიტიკა, კვლევა და აკადემიურ წრესთან თანამშრომლობა და ცნობიერების ამაღლება ამ თვალსაზრისით.

### ტრენინგი შენგენის სავიზო მოთხოვნების შესახებ



2016 წლის 25 თებერვალს პროექტმა ENIGMMA-მ ჩაატარა ტრენინგი შენგენის სავიზო რეგულაციებზე. ავსტრიის საგარეო საქმეთა



დაფინანსებულია ევროკავშირის მიერ





ამოცანაა მისი განხორციელება მიგრაციის ეროვნული პოლიტიკის ჩამოსაყალიბებლად და დასაწერად, მთავრობის შესაძლებლობის გაძლიერების კუთხით.

წყარო: [www.icmpd.org](http://www.icmpd.org)



### ინტერვიუ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიგრაციის დეპარტამენტის დირექტორთან, ბატონ ზაზა ფანცულაიასთან

დასაწყისი იხილეთ პირველ გვერდზე

2014 წლის 1 სექტემბერს ხელი მოეწერა და ძალაში შევიდა საქართველოს მთავრობის # 525 დადგენილება „უცხოელის საქართველოდან გაძევების წესის დამტკიცების შესახებ“. ამავე დღიდან ამოქმედდა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს #631 ბრძანება „უცხოელის დაკავებისა და დროებითი განთავსების ცენტრში მოთავსების წესის შესახებ“. დოკუმენტი ნათლად განსაზღვრავს, თუ როდის არის შესაძლებელი უცხოელის დაკავება და/ან გადაყვანა დროებითი განთავსების ცენტრში (TAC), ასევე, მოიცავს ინფორმაციას დაკავების წესებზე, უცხოელთა პროცედურულ უფლებებზე TAC-ში განთავსებისას (მათ შორის, პერსონალურ თუ სამედიცინო შემოწმებაზე) და მათ უფლებებსა და გარანტიებზე.

ჩვენი დეპარტამენტი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს უწყებათაშორის თანამშრომლობას ამ კუთხით და აქტიური ურთიერთობები გვაქვს საქართველოს იუსტიციისა და საგარეო საქმეთა სამინისტროებთან. სხვა შესაბამის სტრუქტურებთან ურთიერთობის გაძლიერებაც აუმაღლებს ღონისძიებათა ეფექტიანობას. წარმატებული უწყებათაშორის თანამშრომლობის მიზნით, შინაგან საქმეთა სამინისტრომ ხელი მოაწერა მემორანდუმს საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის და ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროებთან ურთიერთთანამშრომლობის შესახებ. მომავალში გაფორმდება მემორანდუმები საქართველოს განათლებისა და მეცნიერების და შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროებთან. ვინაიდან ნებაყოფლობითი დაბრუნების პროგრამებს უპირატესობა ენიჭებათ იძულებით დაბრუნებასთან შედარებით, შინაგან საქმეთა სამინისტრომ ხელი მოაწერა მემორანდუმს მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციასთან (IOM), რომელიც აქტიურად თანამშრომლობს ჩვენს დეპარტამენტთან ამ კუთხით. 2015 წლის ივლისიდან მიგრაციის დეპარტამენტმა გაძევების პროცედურების ეფექტიანი განხორციელება დაიწყო. 2016 წლის თებერვლისათვის გაძევების შესახებ გამოცემული იყო 77 გადაწყვეტილება.

**ENIGMMA: მიგრაციის დეპარტამენტი კოორდინირებს უნევს არალეგალური მიგრაციის წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებებს და ახორციელებს გაძევების პროცედურებს; საპატრულო პოლიცია პასუხისმგებელია არალეგალურ მიგრანტთა გამოვლენაზე ქვეყნის**

**მასშტაბით; კრიმინალურ პოლიციას კი ევალება არალეგალური მიგრაციის წინააღმდეგ ბრძოლა. როგორ მიმდინარეობს კოორდინირება შესაბამისი სტრუქტურებს შორის და რა მექანიზმებით მიიღწევა მათი ოპერატიული და შეთანხმებული მუშაობა?**

**ბ-ნი ზაზა ფანცულაია:** საქართველოს ტერიტორიაზე არალეგალურად მცხოვრებ უცხოელთა გამოსავლენად და შემდგომი რეაგირებისათვის ეფექტიან ღონისძიებათა განსახორციელებლად, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ სტანდარტული ოპერაციული პროცედურები (SOP) შეიმუშავა თავისი სტრუქტურული ერთეულებისა და ტერიტორიული დანაყოფებისათვის. SOP-ით გათვალისწინებულია უცხოელთა იდენტიფიცირებისათვის საჭირო პროცედურები, ასევე, ქვეყნის ტერიტორიაზე მათი ყოფნის სამართლებრივი საფუძვლები, დაკავების წესები, დაკავების განმავლობაში უცხოელის უფლებები და მიგრაციის დეპარტამენტის მიერ გამოყენებული პროცედურა შინაგან საქმეთა სამინისტროს უფლებამოსილი დეპარტამენტის მიერ ჩატარებული სამუშაოს პასუხად. სამინისტროს კომპეტენციები არალეგალური მიგრაციის წინააღმდეგ ბრძოლის კუთხით გადანაწილებულია 4 შესაბამის სააგენტოზე: სასაზღვრო პოლიცია, საპატრულო პოლიცია, კრიმინალური პოლიცია და მიგრაციის დეპარტამენტი. ეფექტიანი კოორდინაციის უზრუნველსაყოფად, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ, 2014 წლის 22 სექტემბრის #730 ბრძანების საფუძველზე, ჩამოაყალიბა არალეგალური მიგრაციის წინააღმდეგ ბრძოლის საკოორდინაციო ჯგუფი, რომელიც ამ სამინისტროს სხვადასხვა დეპარტამენტის წარმომადგენლებისგან დაკომპლექტდა. ჯგუფის მიზანია ერთიანი პოლიტიკის ჩამოყალიბება მიგრაციის საკითხების შესახებ და ამ სფეროს მართვის გაუმჯობესება. სამუშაო ჯგუფის შეხვედრები რეგულარულად იმართება. მის საქმიანობას კოორდინირებას უწევს მიგრაციის დეპარტამენტი და თავმჯდომარეობს საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე.

**ENIGMMA: მიგრაციის დეპარტამენტი საქართველოში სამართლებრივი საფუძვლის გარეშე მყოფ უცხოელებს სთავაზობს დროებითი განთავსების ცენტრის (TAC) მომსახურებას გაძევებამდე. თუ შეიძლება, მოკლედ აუხსენით მკითხველებს, რამდენად ეფექტიანია TAC და განუმარტეთ ცენტრში მიღების სისტემის ზოგადი შესაძლებლობები?**

**ბ-ნი ზაზა ფანცულაია:** TAC 2014 წლის 1 სექტემბრიდან ფუნქციონირებს. ცენტრში შესაძლებელია იმ უცხოელთა განთავსება, რომლებიც საქართველოში სამართლებრივი საფუძვლის გარეშე იმყოფებიან. ის აშენდა საქართველოს მთავრობის დაფინანსებით, ასევე, საერთაშორისო პარტნიორებისა და დონორების მხარდაჭერითა და აქტიური თანამშრომლობით, და აღჭურვილია საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. ცენტრში განთავსებული პირები უზრუნველყოფილნი არიან სამედიცინო და ფსიქოლოგიური მხარდაჭერით. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის გამოყოფილია შესაბამისად ადაპტირებული ოთახები. ასევე გათვალისწინებულია ბავშვთა ინტერესები, მათ შორის, განათლების უფლება და თავისუფალი დროის გასატარებელი პირობები. TAC-ში მოწყობილია ბიბლიოთეკა, კომპიუტერისა და სათამაშო ოთახები მიგრანტებისათვის და შესაძლებელია 92 ადამიანის განთავსება. იგი მოიცავს ორ დამოუკიდებელ ბლოკს - (1) მამაკაცებისა და ქალების და (2) ოჯახებისათვის.

**ENIGMMA: მიგრაციის დეპარტამენტი ერთ-ერთია იმ რამდენიმე ევროპული ქვეყნის სამართალდამცველ დანესებულებათა შორის, რომლებიც ასრულებენ შიდა მონიტორინგისა და დაკავებულ არალეგალ მიგრანტთა უფლებების მაკონტროლირებელი ორგანოს ფუნქციებს. რა ზომებია გათვალისწინებული TAC-ში განთავსებულ მიგრანტთა უფლებების სრულად დაცვისა და პოტენციურ დარღვევათა პრევენციისათვის?**

**ბ-ნი ზაზა ფანცულაია:** საქართველოს შსს-ს მიგრაციის დეპარტამენტში უცხოელთა უფლებების დაცვისა და მონიტორინგის სამმართველო შიდა მონიტორინგის მექანიზმის ფუნქციას



დაფინანსებულია ევროკავშირის მიერ






მიმოსვლის შეთავაზების შესახებ. უვიზო მიმოსვლა ხელს შეუწყობს ხალხთა შორის კონტაქტებს, გააძლიერებს ბიზნესს, სოციალურ და კულტურულ ურთიერთობებს ევროკავშირსა და საქართველოს შორის. ეს მნიშვნელოვანი მიღწევაა საქართველოს მოქალაქეებისათვის. დღევანდელი შეთავაზება ეხმარება საქართველოს სახელმწიფო სტრუქტურების მკდრობას, განახორციელონ გრძელვადიანი და რთული რეფორმები, რომლებსაც მნიშვნელოვანი გავლენა აქვთ კანონის უზენაესობასა და მართლმსაჯულების სისტემაზე. ძალიან კმაყოფილი ვარ მიღწეული პროგრესით და ვიმედოვნებ, რომ ევროპარლამენტი და საბჭო მალე მიიღებს ჩვენს შეთავაზებას.

მას შემდეგ, რაც ეს მოხდება, ბიომეტრიული პასპორტების მფლობელ საქართველოს მოქალაქეებს არ დასჭირდებათ ვიზა შენგენის ზონაში 90-დღიანი მგზავრობის შემთხვევაში. უვიზო მიმოსვლა შეეხება ევროკავშირის ყველა წევრ სახელმწიფოს, ირლანდიისა და დიდი ბრიტანეთის გამოკლებით და შენგენის ოთხი ასოცირებული ქვეყნის (ისლანდია, ლიხტენშტაინი, ნორვეგია და შვეიცარია) ჩათვლით. ეს შედეგები ვრცელდება მხოლოდ მოკლევადიან ვიზიტებზე, რაც გულისხმობს ბიზნესის, ტურისტული თუ ოჯახური მიზნებით მოგზაურობას 90 დღის განმავლობაში ნებისმიერ 180-დღიან პერიოდში. სავიზო მოთხოვნისგან გათავისუფლება არ ანიჭებს პირს ევროკავშირში მუშაობის უფლებას.

წყარო: [http://europa.eu/rapid/press-release\\_IP-16-702\\_en.htm](http://europa.eu/rapid/press-release_IP-16-702_en.htm)

**ევროპული საბჭოს პრეზიდენტი საქართველოს პრემიერ-მინისტრს ხვდება**



საავტორო უფლება: არაკომერციული გამოყენებისათვის, წყარო: ევროკავშირის საბჭო

2016 წლის 9 თებერვალს ევროპული საბჭოს პრეზიდენტი დონალდ ტუსკი საქართველოს პრემიერ-მინისტრს, გიორგი კვირიკაშვილს შეხვდა.

„ევროკავშირი და საქართველო პარტნიორები არიან. ასოცირების ხელშეკრულების ძალაში სრულად შესვლასთან ერთად, ჩვენ შევძლებთ კიდევ უფრო ღრმა თანამშრომლობის ხელშეწყობას საქართველოსა და ევროკავშირს შორის პოლიტიკური ასოცირებისა და ეკონომიკური ინტეგრაციის კუთხით“, - აღნიშნა პრეზიდენტმა ტუსკმა. მისი განცხადების სრული ვერსია პრესისთვის ხელმისაწვდომია ევროპული საბჭოს ვებგვერდზე: <http://www.consilium.europa.eu/en/press/press-releases/-09/02/2016tusk-press-statement-prime-minister-georgia-kvirikashvili/>

წყარო: [www.enpi-info.eu](http://www.enpi-info.eu)

**ევროკომისარმა მიგრაციის, საშინაო და მოქალაქეობის საკითხებში საქართველოს მიგრაციის პოლიტიკა განიხილა**

ბრიუსელში ვიზიტისას პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა და ევროკომისარმა მიგრაციის, საშინაო და მოქალაქეობის საკითხებში, დიმიტრის ავრამოპოლუსმა, განიხილეს ვიზალიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის წარმატებული განხორციელება საქართველოს

მიერ და მიგრაციის პოლიტიკის მოდერნიზაციის კუთხით გადადგმული ნაბიჯები. გიორგი კვირიკაშვილმა აღნიშნა, რომ საქართველომ უკვე შეიმუშავა მიგრაციის მართვის თანამედროვე პოლიტიკა და ემიგრაციისა და იმიგრაციის მხრივ სისტემური რეფორმები განახორციელა ვიზალიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის ფარგლებში.

ევროკომისიაში შეხვედრას ასევე დაესწრნენ საგარეო საქმეთა მინისტრი, მიხეილ ჯანელიძე და საქართველოს სახელმწიფო მინისტრი ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში, დავით ბაქრაძე.

წყარო: [http://belgium.mfa.gov.ge/index.php?lang\\_id=ENG&sec\\_id=223&info\\_id=35088](http://belgium.mfa.gov.ge/index.php?lang_id=ENG&sec_id=223&info_id=35088)

**ევროპის კომისია საქართველოს რეფორმებს დადებითად აფასებს**

2016 წლის 20 იანვარს ევროპის პარლამენტის წლის პირველ პლენარულ სესიაზე ევროკომისარი ევროპული სამეზობლო პოლიტიკისა და გაწევრიანების თაობაზე მოლაპარაკებათა საკითხებში, იოჰანეს ჰანი, საგარეო პოლიტიკისა და უსაფრთხოების საკითხებში ევროკავშირის უმაღლესი წარმომადგენლისა და ევროკომისიის ვიცე-პრეზიდენტის, ფედერიკა მოგერინის სახელით, სიტყვით გამოვიდა ევროკავშირსა და აღმოსავლეთ პარტნიორ ქვეყნებს შორის ასოცირების ხელშეკრულებათა შესახებ.

„საქართველოსთან დაკავშირებით, მთამბეჭდავი ნაბიჯები გადაიდგა ასოცირების ხელშეკრულების განხორციელების კუთხით ... ჩვენ კი გავაგრძელებთ მუშაობას კანონმდებლობაზე, რათა რაც შეიძლება მალე მივაღწიოთ სრულ ვიზალიბერალიზაციას.“

ბ-ნი ჰანის სიტყვის სრული ვერსია ხელმისაწვდომია: [http://europa.eu/rapid/press-release\\_SPEECH-16-121\\_en.htm](http://europa.eu/rapid/press-release_SPEECH-16-121_en.htm)

## საქართველოში მიგრაციის მართვის სფეროში არსებული სიახლეები

**ახალი სავიზო რეგულაციები ირანთან**

2016 წლის თებერვალში საქართველოს მთავრობამ გამოსცა გადაწყვეტილება ირანის მოქალაქეებისათვის უვიზო მიმოსვლის დაწესებაზე. მათ საქართველოში 45 დღემდე ვადით დარჩენის უფლება ექნებათ. ორივე ქვეყანა იმედოვნებს, რომ უვიზო მიმოსვლა დადებით გავლენას მოახდენს ქვეყნების ეკონომიკურ ვითარებაზე, კონკრეტულად კი გაზრდის ვაჭრობასა და ტურიზმს.

წყარო: საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო

**საქართველოს 2016-2020 წლების მიგრაციის სტრატეგია**

2015 წლის 11 დეკემბერს საქართველოს მთავრობამ მიიღო 2016-2020 წლების მიგრაციის სტრატეგია. დოკუმენტში განხილულია მიგრაციის სფეროს ძირითადი მიმართულებები და ასახავს სახელმწიფოს ხედვასა და კონკრეტულ ამოცანებს მიგრაციის ეფექტიანი მართვისა და ქვეყნის განვითარებისათვის მიგრაციის პოტენციალის გამოყენების კუთხით.

სტრატეგიის ინგლისური ვერსია ხელმისაწვდომია მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისიის ვებგვერდზე: [http://migration.commission.ge/files/migration\\_strategy\\_2016-2020.pdf](http://migration.commission.ge/files/migration_strategy_2016-2020.pdf)

## ICMPD-ს ძირითადი საქმიანობა საქართველოსა და რეგიონში

**ICMPD ახალ პროექტს იწყებს აზერბაიჯანში**

ICMPD ახორციელებს პროექტს „აზერბაიჯანთან პარტნიორობა მობილურობისათვის ხელშეკრულების განხორციელების მხარდაჭერა“ (MOBILAZE), რომელიც ევროკავშირმა დააფინანსა. აზერბაიჯანსა და ევროკავშირს შორის ამ ხელშეკრულებას 2013 წელს მოეწერა ხელი. შესაბამისად, პროექტ MOBILAZE-ს



დაფინანსებულია ევროკავშირის მიერ





# მიგრაციის საინფორმაციო ბიულეტენი #8

## პროექტ ENIGMMA-ს კვარტალური გამოცემა

### მკითხველს მკითხველო!



პროექტ ICMPD/ENIGMMA-ს გუნდს პატივი აქვს, წარმოგიდგინოთ რიგით მერვე საინფორმაციო ბიულეტენი მიგრაციის საკითხებზე. ამ ბიულეტენების სერიის მიზანია მკითხველისათვის განახლებული ინფორმაციის მიწოდება საქართველოში მიგრაციის მართვასა და მიგრაციის სფეროში ევროკავშირი-საქართველოს ურთიერთობებზე. ამასთანავე, საინფორმაციო ბიულეტენი ზოგადად მიმოიხილავს ENIGMMA-სა და ICMPD-ს სხვა პროექტთა ფარგლებში რეგიონის მასშტაბით განხორციელებულ და დაგეგმილ აქტივობებს.

გამოცემაში ასევე გაეცნობით საქართველო-ევროკავშირის თანამშრომლობის შედეგებსა და მიღწევებს ვიზალიბერალიზაციის კუთხით, ახლახან გამოქვეყნებულ 2020-2016 წლების საქართველოს მიგრაციის სტრატეგიას და მიგრაციის სფეროსთან დაკავშირებულ სხვა საკითხებს; მოგაწვდით ინფორმაციას ENIGMMA-ს მიერ დაგეგმილი საზაფხულო სკოლისა და 2016 წლის საინფორმაციო კამპანიის შესახებ; წარმოგიდგენთ ICMPD-ს ახალ პროექტსაც - MOBILAZE - რომელიც აზერბაიჯანში განხორციელდება. გარდა ამისა, შემოგთავაზებთ ინტერვიუს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიგრაციის დეპარტამენტის დირექტორთან, ბატონ ზაზა ფანცულაიასთან, რომელიც ახლად ჩამოყალიბებულ მიგრაციის დეპარტამენტზე საუბრობს და მიმოიხილავს ზოგად მდგომარეობას საქართველოში არალეგალურ მიგრაციასთან მიმართებით.

გთხოვთ, თქვენი მოსაზრებები და კომენტარები, ასევე რჩევები მუშაობის გასაუმჯობესებლად, გამოგვიგზავნოთ საინფორმაციო ბიულეტენის ბოლოს მითითებულ ელექტრონულ მისამართზე.

ENIGMMA-ს პროექტის გუნდი მადლობას გიხდით დაინტერესებისათვის.

### ICMPD/ENIGMMA-ს პროექტის გუნდი

### ამ გამოცემაში წარმოდგენილი იქნება

#### სიახლეები:

- ინტერვიუ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიგრაციის დეპარტამენტის დირექტორთან, ბატონ ზაზა ფანცულაიასთან

#### მიგრაციის საინფორმაციო ბიულეტენის მუდმივი რუბრიკები:

- ევროკავშირისა და საქართველოს ურთიერთობები
- საქართველოში მიგრაციის მართვის სფეროში არსებული სიახლეები
- ICMPD-ს ძირითადი საქმიანობა საქართველოსა და რეგიონში
- პროექტ ENIGMMA-ს მიმდინარე და დაგეგმილი აქტივობები
- „ვინ ვინ არის?“ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიგრაციის დეპარტამენტი

### ინტერვიუ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიგრაციის დეპარტამენტის დირექტორთან, ბატონ ზაზა ფანცულაიასთან



**ENIGMMA: მიგრაციის დეპარტამენტი საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში ახლად ჩამოყალიბებული სტრუქტურული ერთეულია, რომელიც ახორციელებს „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის კონკრეტულ დებულებებს არალეგალური მიგრაციის წინააღმდეგ ბრძოლასა და პრევენციასთან დაკავშირებით. რა მდგომარეობაა ამჟამად ამ სფეროში?**

**ბ-ნი ზაზა ფანცულაია:** მოგეხსენებათ, მიგრაციის მართვა ევროპისა და მთელი მსოფლიოს ერთ-ერთი ძირითადი პრიორიტეტია და საქართველოც არ არის გამონაკლისი. ბოლო წლებში ჩვენმა ქვეყანამ, ამ მხრივ, მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა და განსაკუთრებული წინსვლა შეინიშნება საკანონმდებლო და ინსტიტუციურ დონეებზე. კერძოდ, უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ კანონის მიღება და ეფექტიანი მექანიზმების ჩამოყალიბება დადებითად აისახა ქვეყნის მიგრაციის მართვის სისტემაზე. ამ კანონის დებულებათა ეფექტიანადვე განსახორციელებლად, შეიქმნა და მიღებულია მთელი რიგი კანონქვემდებარე აქტები და რეგულაციები:

გაგრძელება 3-ე გვერდზე

### ევროკავშირისა და საქართველოს ურთიერთობები

ევროკომისიის შემოთავაზება საქართველოს მოქალაქეებისათვის სავიზო მოთხოვნათა გაუქმების შესახებ

2016 წლის 9 მარტს ევროკომისიამ ევროკავშირის საბჭოსა და ევროპარლამენტს შესთავაზა სავიზო ვალდებულების მოხსნა საქართველოს მოქალაქეებისათვის და მისი გადაყვანა იმ ქვეყნების სიაში, რომელთა მოქალაქეებსაც შეუძლიათ შენგენის ზონაში უვიზო რეჟიმით მიმოსვლა. ეს იყო შედეგი 2015 წლის დეკემბერში კომისიის მიერ გამოქვეყნებული დადებითი შეფასებისა, რომლითაც დადასტურდა, რომ საქართველომ ვიზალიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის ყველა ნიშნული წარმატებით შეასრულა.

ევროკომისიასრამ მიგრაციის, საშინაო და მოქალაქეობის საკითხებში, დიმიტრის ავრამოპოლუსმა აღნიშნა: „დღეს ჩვენ ვასრულებთ პირობას საქართველოს მოქალაქეებისათვის ევროპაში უვიზო



დაფინანსებულია ევროკავშირის მიერ



აქ წარმოდგენილი მოსაზრებები შეიძლება არ გამოხატავდეს ევროკავშირის მოსაზრებებს